



eurostudent.eu
★★★★★

ევროსტუდენტი VI-ის (2016-2018) ეროვნული კვლევის ძირითადი შედეგები

სარჩევი

„ევროსტუდენტის“ საერთაშორისო პროექტის შესახებ 3

"ევროსტუდენტი" საქართველოში 4

კვლევის მეთოდოლოგია 4

კვლევის შედეგები 5

 ზოგადი მონაცემები - მიმდინარე სასწავლო მდგომარეობა 5

 სწავლის ზოგადი მახასიათებლები 6

 ზოგადი მონაცემები - უსდ-ში სწავლა და სწავლის შეწყვეტა 10

 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა 12

 დასაქმება და სწავლასთან დაკავშირებული აქტივობები 15

 სტუდენტთა საცხოვრებელი ადგილი 18

 სწავლისა და სამომავლო გეგმების შეფასება 19

 სტუდენტების ადგილობრივი და საერთაშორისო მობილობა 20

 მშობლების დემოგრაფიული მახასიათებლები 23

დასკვნები 24

რეკომენდაციები 26



კვლევა განხორციელდა 2016-2018 წლებში „აი ფი ემ კვლევების“ მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში“ ქვეპროგრამის - „ევროსტუდენტი VI-ის ეროვნული პროექტი“ - ფარგლებში.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



წინამდებარე პროექტი განხორციელდა ევროკომისიის თანადაფინანსებით. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

„ევროსტუდენტის“ საერთაშორისო პროექტის შესახებ

„ევროსტუდენტი“ არის ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კვლევა, რომელიც 90-იანი წლებიდან რეგულარულად ტარდება საერთაშორისო კონსორციუმის - „ევროსტუდენტი“ - თაოსნობით ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების სოციალური სფეროს შესწავლის მიზნით ამ ქვეყნების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობების, შემოსავლებისა და ხარჯების, სასწავლო პროცესით კმაყოფილების და ა.შ. კვლევის საფუძველზე.

აღნიშნული კვლევა თავისი სპეციფიკიდან და მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილე ქვეყნებში არსებული სიტუაციის შედარების შესაძლებლობას იძლევა, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებისათვის, განათლების მკვლევრებისთვის, სტუდენტების მდგომარეობით დაინტერესებული ყველა პირისათვის ორგანიზაციისათვის. კვლევა ასევე გამოავლენს ევროპული განათლების სივრცის ფუნქციონირების პრობლემებსა და ბარიერებს.

2016 წელს ჩატარდა „ევროსტუდენტის“ კვლევის მეექვსე ტალღა, რომელშიც მონაწილეობდნენ შემდეგი ქვეყნები: ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, ისლანდია, ირლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პორტუგალია, თურქეთი, საქართველო, იტალია, შვეიცარია, ნიდერლანდები, ჩეხეთი, მალტა, სლოვაკეთი, პოლონეთი, სლოვენია, უნგრეთი, ხორვატია, სერბეთი, ალბანეთი, რუმინეთი.

"ევროსტუდენტი" საქართველოში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევითა და მხარდაჭერით საქართველო "ევროსტუდენტის" კვლევას 2014 წელს შეუერთდა საპილოტე რეჟიმში, გამოკითხვა ჩატარდა მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2016 წელს საქართველო კვლევაში სრულად ჩაერთო. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქვეყანაში ავტორიზებულმა 71 უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ¹.

კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში "ევროსტუდენტი" განხორციელდა "ევროსტუდენტის" კონსორციუმის მიერ დადგენილი კვლევის მეთოდოლოგიით, კერძოდ კი ონლაინ კითხვარის საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. კვლევის ბმული გადაეგზავნათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და მათ უზრუნველყვეს სტუდენტებს შორის ამ ბმულის გავრცელება.

"ევროსტუდენტის" კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მოქალაქე სტუდენტებმა, რომელთაც ჰქონდათ აქტიური სტატუსი, ასევე იმ უცხოელმა სტუდენტებმა, რომლებიც სწავლობენ საქართველოში საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამაზე.

კვლევის მოთხოვნების შესაბამისად, გამოყენებული იყო სტრატეგიცირებული შემთხვევითი შერჩევა, რათა მოპოვებული მონაცემები რეპრეზენტატიული ყოფილიყო გენერალური ერთობლიობისათვის. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიმართულებები განსაზღვრულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, რომელიც, მოგვიანებით ანალიზისთვის შესაბამისობაში მოვიდა განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან ISCED 2013.

კვლევამ მოიცვა 7557 სტუდენტი, რომელთაგან 4027 ქალია და 3530 მამაკაცი. მონაცემები გაიწმინდა და დამუშავდა სტანდარტიზებული პროცედურების გათვალისწინებით. მონაცემები შეიწონა სტუდენტთა სქესის, ასაკის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის და სწავლების საფეხურის მიხედვით. ეს შესაძლებლობას იძლევა, კვლევის შედეგები განვაზოგადოთ საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტების მთლიან პოპულაციაზე.

¹ "ევროსტუდენტის" კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია არ მონაწილეობდნენ კვლევაში. გარდა ამისა, სტუდენტების დაბალი აქტივობის გამო ორი უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, გამოეთიშა კვლევას, ესენია - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

კვლევის შედეგები

ზოგადი მონაცემები - მიმდინარე სასწავლო მდგომარეობა

საქართველოში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების საშუალო ასაკი 21,5 წელია, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების - 25,7 წელი, ხოლო ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტების - 21,8 წელი.

ცხრილში №1 მოცემული მონაცემები ასახავს გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობას და მათ გადანაწილებას უსდ-ს ტიპის მიხედვით. შერჩევის პრინციპიდან გამომდინარე, მოცემული რაოდენობა უსდ-ებში სტუდენტთა არსებული რაოდენობის პროპორციულია.

ცხრილი №1 - გამოკითხული სტუდენტების გადანაწილება ქალაქებისა და უსდ-ს ტიპის მიხედვით N=7557


ქალაქი	სახელმწიფო უსდ		კერძო უსდ		სულ	
	%	N	%	N	%	N
თბილისი	59%	2119	87%	3464	74%	5583
ქუთაისი	12%	439	2%	75	7%	514
ბათუმი	15%	541	5%	215	10%	756
შუაბევი	0%	0	3%	109	1%	109
გორი	3%	94	1%	35	2%	129
რუსთავი	0%	0	2%	66	1%	66
ზუგდიდი	2%	70	0%	13	1%	83
ახალციხე	6%	208	0%	0	3%	208
თელავი	3%	109	0%	0	1%	109
სულ:	100%	3580	100%	3977	100%	7557

სტუდენტების უდიდესი ნაწილი (74%) დედაქალაქში - თბილისში სწავლობს. უსდ-ს ტიპის მიხედვით თბილისში სწავლობს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების 87%, ხოლო სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების 59%. საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამების სტუდენტების ნახევარზე მეტი (52.6%) კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს.

სწავლის ზოგადი მახასიათებლები

უნივერსიტეტში, სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯში სტუდენტების გადანაწილება შემდეგნაირია:

გრაფიკი №1 - სტუდენტების გადანაწილება უსდ-ს ტიპების მიხედვით N=7557



ცხრილში №2 მოცემულია სტუდენტების ასაკი სწავლის საფეხურის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 30 წელზე მეტი ასაკის სტუდენტები ფაქტობრივად არ არიან ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე, ისინი მცირედ არიან წარმოდგენილნი სამაგისტრო პროგრამებზე და კიდევ უფრო მცირედ - საბაკალავრო პროგრამებზე.

ცხრილი №2 - სტუდენტების გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლის საფეხურებზე, N=7557

	ბაკალავრიატის სტუდენტი	მაგისტრანტი	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
21 წლამდე	60%	1%	48%
22-24 წელი	34%	48%	44%
25-30 წელი	6%	43%	8%
30 წელზე მეტი	1%	8%	0%

სახელმწიფო და კერძო უსდ-ებში საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა გადანაწილება განსხვავებულია. ეს, ბუნებრივია, დამოკიდებულია იმ პროგრამებზე, რასაც ესა თუ ის უსდ სთავაზობს სტუდენტებს. ასე მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირებაზე კერძო უსდ-ებში თითქმის ორჯერ მეტი სტუდენტი სწავლობს, ვიდრე - სახელმწიფო უსდ-ებში, ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამაზე 3-ჯერ მეტი სტუდენტი სწავლობს კერძო უსდ-ებში, ვიდრე -


სახელმწიფო უსდ-ებში, ხოლო განათლების მეცნიერებებზე თითქმის ოთხჯერ უფრო მეტი სტუდენტი სწავლობს სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ვიდრე - კერძო უსდ-ებში.

ცხრილი №3 - პროგრამების გადანაწილება უსდ-ს ტიპის მიხედვით (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით) N=7557

	სახელმწიფო უსდ		კერძო უსდ		სულ	
	%	N	%	N	%	N
აგრარული მეცნიერებები	3.27%	117	0.75%	30	2.00%	147
ბიზნესის ადმინისტრირება	14.17%	507	26.09%	1038	20.40%	1545
განათლება	2.91%	104	0.78%	31	1.80%	135
ინჟინერია	12.99%	465	6.94%	276	9.80%	741
მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	7.77%	278	0.33%	13	3.80%	291
სამართალი	9.50%	340	13.07%	520	11.40%	860
სოციალური მეცნიერებები	14.89%	533	14.10%	561	14.50%	1094
ხელოვნება	3.83%	137	0.15%	6	1.90%	143
ჯანდაცვა	4.89%	175	14.98%	596	10.20%	771
ჰუმანიტარული მეცნიერებები	9.92%	355	7.26%	289	8.50%	644
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	11.79%	422	9.38%	373	10.50%	795
ჯერ არ აურჩევია სპეციალობა	4.08%	146	6.16%	245	5.20%	391
სულ:	100.00%	3579	100.00%	3978	100.00%	7557


ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, ქალი სტუდენტების რაოდენობა აღემატება კაცი სტუდენტების რაოდენობას და ეს თანაფარდობა თითქმის არ განსხვავდება საფეხურების მიხედვით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრატურის სტუდენტებში ქალების წილი ყველაზე მაღალია დანარჩენ ორ საფეხურთან შედარებით.

გრაფიკი №2 სტუდენტების თანაფარდობა სწავლის საფეხურებზე სქესის მიხედვით N=7557




კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვდა შეზღუდული შესაძლებლობების, ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემების ან ფუნქციონალური შეზღუდვების მქონე სტუდენტებზე, ამ შეზღუდვების ტიპებზე და მათ გავლენაზე სწავლის პროცესზე. კვლევის შედეგების მიხედვით, ასეთი სტუდენტების რიცხვი 10%-ს არ აღემატება.

გრაფიკი №3 - სტუდენტები შეზღუდული შესაძლებლობებით, ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემებით ან ფუნქციონალური შეზღუდვებით (შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხი) N=7557



მომდევნო გრაფიკზე ნაჩვენებია შეზღუდული შესაძლებლობების, ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემების ან ფუნქციონალური შეზღუდვების მქონე სტუდენტების გადანაწილება უსდ-ს ტიპის მიხედვით. როგორც შედეგებიდან ჩანს, ასეთი სტუდენტების წილი სახელმწიფო უსდ-ებში უფრო მაღალია.

გრაფიკი №4 - შეზღუდული შესაძლებლობების, ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემების ან ფუნქციონალური შეზღუდვების მქონე სტუდენტები უსდ-ს ტიპის მიხედვით N=7557



ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემების მქონე სტუდენტების უმეტესობა (79%) აღნიშნავს, რომ მისი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეუმჩნეველია სხვებისთვის.

ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემების მქონე გამოკითხულ სტუდენტთა დიდ ნაწილს - 63%-ს ჯანმრთელობის პრობლემები ფიზიკურ აქტივობაში ხელს არ უშლის, 65%-ს ეს პრობლემები სწავლასთან დაკავშირებით არავითარ დაბრკოლებას არ უქმნის. შექმნილი დაბრკოლებების

აღმოფხვრისთვის საჯარო და ინსტიტუციურ დახმარებას სტუდენტები ასე აფასებენ: 36%-ს ამგვარი დახმარება არ ესაჭიროება, მხოლოდ 27%-ისთვის გაწეული დახმარება ეფექტიანია.


ზოგადი მონაცემები - უსდ-ში სწავლა და სწავლის შეწყვეტა

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების უმრავლესობა (97.5%) სტანდარტული გზით, ანუ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგად ჩაირიცხა, თუმცა, სტუდენტების მცირე ნაწილი უსდ-ში ალტერნატიული გზით მოხვდა.

სტუდენტების დიდმა ნაწილმა (84.4%) სკოლის დამთავრებიდან 1 წელზე ნაკლებ დროში ჩააბარა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. "ევროსტუდენტის" კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილია მიმდინარე პროგრამაზე სტუდენტების მიერ ოფიციალურად ან არაოფიციალურად, სულ მცირე, ზედიზედ 2 სემესტრით სწავლის შეწყვეტა და მისი მიზეზები. სტუდენტების უმრავლესობას ასეთი შემთხვევა არ ჰქონია, თუმცა სტუდენტების 4%-ს აქვს სწავლის შეწყვეტის გამოცდილება.

სტუდენტების პასუხების თანახმად, სწავლის შეწყვეტის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი ფინანსური სირთულეებია, ამას მოსდევს ოჯახური მიზეზები (მათ შორის: ორსულობა, ბავშვის მოვლა, ოჯახის წევრზე ზრუნვა და ა.შ.), შემდეგი მიზეზია მოტივაციის ნაკლებობა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზით სწავლის შეწყვეტა ყველაზე ნაკლებად დასახელდა.

გრაფიკი №5 - სწავლის შეწყვეტის მიზეზები N=295 (შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხი)



საინტერესოა, ასევე, სწავლის შეწყვეტის მიზეზების განხილვა სტუდენტთა სქესის გათვალისწინებით: ფინანსური სირთულეებისა და ოჯახური მიზეზების გამო ქალი სტუდენტები უფრო ხშირად წყვეტენ სწავლას, ვიდრე - მამაკაცი სტუდენტები. მამაკაცი სტუდენტებისთვისაც ფინანსური სირთულეების გამო სწავლის შეწყვეტა პირველ ადგილზეა, თუმცა, ქალი სტუდენტებისაგან განსხვავებით, მამაკაცი სტუდენტებისთვის სწავლის შეწყვეტის მიზეზებს შორის მეორე ადგილზე მოტივაციის ნაკლებობაა. სამსახურებრივი მიზეზები და მოტივაციის ნაკლებობა სწავლის შეწყვეტის მიზეზებად მამაკაცმა სტუდენტებმა უფრო ხშირად დაასახელეს, ვიდრე - ქალმა სტუდენტებმა.

ცხრილი №4 - სწავლის შეწყვეტის მიზეზები სქესის გათვალისწინებით (შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხი) N=295

	ქალი N=166	მამაკაცი N=129
ფინანსური სირთულეები	52.9%	45.3%
ოჯახური მიზეზები (მაგ. ორსულობა, ბავშვის მოვლა, მშობლები და ა.შ.)	32.0%	20.1%
სამსახურებრივი მიზეზები (მაგ. არასავალდებულო სტაჟირება, სამსახურის შემოთავაზება)	4.4%	19.8%

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზები	6.6%	7.7%
მოტივაციის ნაკლებობა	5.0%	23.2%
სხვა მიზეზები	11.6%	17.2%
სულ	100%	100%

სტუდენტების დასაქმება და სამუშაო გამოცდილება, ასევე, წარმოადგენს „ევროსტუდენტის“ კვლევის ინტერესების სფეროს. კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტების მხოლოდ 21% მუშაობდა უსდ-ში სწავლამდე სრულ ან ნახევარ განაკვეთზე, ხოლო უმრავლესობას უსდ-ში სწავლამდე არ ჰქონია სამუშაო გამოცდილება. კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ უფრო მეტ მამაკაც სტუდენტს (27%) აქვს სამუშაო გამოცდილება უსდ-ში მოხვედრამდე, ვიდრე - ქალ სტუდენტს (16%), თუმცა, ჯამურად, უსდ-ში სწავლამდე სამუშაო გამოცდილების არმქონე სტუდენტების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, თითქმის 80% ორივე სქესის წარმომადგენლებში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა

არსებული მდგომარეობით, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაზე ყველაზე მეტი სტუდენტი, სტუდენტების მთლიანი პოპულაციის 20.4% სწავლობს, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოპულარული მიმართულებები არის აგრარული მეცნიერებები, ხელოვნება და განათლება. ცხრილში ჯამურ მაჩვენებლებთან ერთად მოცემულია სასწავლო პროგრამის მიმართულებები საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამების მიხედვით. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების ყველაზე დიდი ნაწილი ბიზნესის ადმინისტრირებაზე სწავლობს. ბაკალავრიატის სტუდენტების 6%-ს ჯერ არ აურჩევია სპეციალობა, მაგისტრატურის სტუდენტებში კი ეს მაჩვენებელი 1%-ზე ნაკლებია.

ცხრილი №5 - სასწავლო პროგრამების მიმართულებების გადანაწილება ჯამურად და საფეხურების მიხედვით (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით) N=7557

ჯამურად სასწავლო პროგრამების მიმართულებებ ის გადანაწილება	საბაკალავრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
აგრარული მეცნიერებები	2.0%	2.1%	2.2%

	ჯამურად სასწავლო პროგრამების მიმართულებებ ის გადანაწილება	საბაკალავრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება	20.4%	21.5%	26.2%	
განათლება	1.8%	1.7%	3.4%	
ინჟინერია	9.8%	10.7%	9.8%	
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	3.8%	4.2%	3.8%	
სამართალი	11.4%	11.7%	16.7%	
სოციალური მეცნიერებები	14.5%	16.0%	12.7%	
ხელოვნება	1.9%	2.0%	2.4%	
ჯანდაცვა	10.2%	2.6%	8.1%	97.4%
ჰუმანიტარული მეცნიერებები	8.5%	9.4%	7.8%	
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	10.5%	12.1%	6.1%	
ჯერ არ აურჩევია სპეციალობა	5.2%	6%	0.8%	2.6%
ჯამი	100%	100%	100%	100%

სასწავლო მიმართულებებზე სტუდენტთა განაწილება განსხვავებულია სქესის მიხედვით. მკაფიო განსხვავებაა ინჟინერიის მიმართულებაში, სადაც მამაკაცი სტუდენტების 18%, ხოლო ქალი სტუდენტების მხოლოდ 2,6% სწავლობს. ქალი სტუდენტების ყველაზე დიდი ნაწილი სოციალურ მეცნიერებებზე (18 %) და ბიზნეს ადმინისტრირებაზე (17.9%) სწავლობს, ხოლო მამაკაცი სტუდენტების ყველაზე დიდი ნაწილი ბიზნესის ადმინისტრირებაზე (23%).

ცხრილი №6 მიმართულებები სქესის მიხედვით N=7557

მიმართულება	ქალი	მამაკაცი
აგრარული მეცნიერებები	1.3%	2.7%
ბიზნესის ადმინისტრირება	17.9%	23.4%

განათლება	3.2%	0.2%
ინჟინერია	2.6%	18%
მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	4.3%	3.4%
სამართალი	12.4%	10.3%
სოციალური მეცნიერებები	18%	10.5%
ხელოვნება	2.2%	1.5%
ჯანდაცვა	11.6%	8.7%
ჰუმანიტარული მეცნიერებები	12.7%	3.8%
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	9.9%	11.2%
ჯერ არ აურჩევია სპეციალობა	3.9%	6.6%
სულ	100%	100%

ქვემოთ გაანალიზებულია თითოეულ მიმართულების მიხედვით სტუდენტების თანაფარდობა სქესის გათვალისწინებით. განათლების მიმართულებაზე სტუდენტების 96% ქალია, ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებაზე სტუდენტების 80%, სოციალურ მეცნიერებებზე სტუდენტების 66% არის ქალი, ხოლო ინჟინერიაზე სტუდენტების უმრავლესობა - 86% - მამრობითი სქესისაა.

ცხრილი №7 - სტუდენტების გადანაწილება მიმართულებებში სქესის მიხედვით N=7557

	ქალი	მამაკაცი	სულ
აგრარული მეცნიერებები	35.5%	64.5%	100%
ბიზნესის ადმინისტრირება	46.6%	53.4%	100%
განათლება	95.8%	4.2%	100%
ინჟინერია	14.3%	85.7%	100%
მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	60%	40%	100%
სამართალი	57.9%	42.1%	100%
სოციალური მეცნიერებები	66.2%	33.8%	100%

	ქალი	მამაკაცი	სულ
ხელოვნება	62.7%	37.3%	100%
ჯანდაცვა	60.4%	39.6%	100%
ჰუმანიტარული მეცნიერებები	79.4%	20.6%	100%
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	50.2%	49.8%	100%
ჯერ არ აურჩევია სპეციალობა	40%	60%	100%

დასაქმება და სწავლასთან დაკავშირებული აქტივობები

სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად "ევროსტუდენტის" კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო სტუდენტების დასაქმება, სამსახურსა და სწავლაზე დახარჯული დრო, ასევე, ოჯახზე ფინანსურად დამოკიდებულება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი არ მუშაობს, მუდმივად დასაქმებულია სტუდენტების 20%, ხოლო დროდადრო მუშაობს სტუდენტების 10%. დასაქმებულ სტუდენტთა ძირითად ნაწილს მაგისტრატურის სტუდენტები შეადგენენ.

მომდევნო ცხრილში მოცემულია სტუდენტების დასაქმება სწავლის საფეხურის მიხედვით, სადაც კარგად ჩანს, რომ მუდმივად დასაქმებული არის მაგისტრატურის სტუდენტების თითქმის 60%, ხოლო საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტების 20%-ზე ნაკლები (თითოეული პროგრამისთვის).


ცხრილი №8 - სტუდენტების დასაქმება სწავლების საფეხურის მიხედვით N=7557

	საბაკალავრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში	15.6%	57.9%	14.5%
დიახ, დროდადრო ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში	10.1%	9.5%	7.1%
არა, არ ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში	74.3%	32.6%	78.4%

სულ	100%	100%	100%
-----	------	------	------

ასევე საინტერესოა, როგორ ანაწილებენ დასაქმებული სტუდენტები მუშაობისა და სწავლის დროს. გრაფიკზე ნაჩვენებია, კვირაში საშუალოდ რამდენ საათს ხარჯავენ დასაქმებული სტუდენტები სამუშაოსა და სწავლაზე. ყველაზე ნაკლებ დროს სამსახურს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები უთმობენ, ყველაზე მეტს - სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. მათ მიერ სამსახურში დახარჯული საშუალო საათების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება სწავლაზე დახარჯულ დროს.

გრაფიკი №6 - კვირაში საშუალოდ სამსახურსა და სწავლაზე დახარჯული დრო. საბაკალავრო პროგრამა N=1581, სამაგისტრო პროგრამა N= 563, ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა N=121



კვლევის ფარგლებში, ასევე, შესაწავლილი იყო მუშაობის მიზეზები თუ მოტივები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა დასაქმებულ სტუდენტებს. ქვემოთ წარმოდგენილია ეს დებულებები და სტუდენტების მიერ მათზე თანხმობის (პასუხები: „სრულიდ ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“) სიხშირე პროცენტებში:

- ვმუშაობ, რათა დავფარო ჩემი საცხოვრებელი ხარჯები - 44%;
- ვმუშაობ, რათა მოვიპოვო გამოცდილება შრომის ბაზარზე - 74%;
- ჩემი ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე არ მექნებოდა საშუალება, ვყოფილიყავი სტუდენტი - 41%;
- ვმუშაობ იმისთვის, რომ ფინანსურად შევინახო სხვები (ბავშვები, მეუღლე, მშობლები) - 25.3%.

როგორც სტუდენტების პასუხებიდან ჩანს, მათი მუშაობის ყველაზე დიდი მოტივაცია არის შრომის ბაზარზე გამოცდილების მოპოვება, ხოლო ყველაზე მცირე - სხვების (ოჯახის წევრები, შვილები და ა.შ.) ფინანსურად შენახვა.

დასაქმებული სტუდენტების დიდი ნაწილის შემთხვევაში მათი სამსახური უკავშირდება მათ სასწავლო პროგრამას (47.4%).


მაგისტრანტების დასაქმების მაჩვენებელი სქესის მიხედვით უმნიშვნელოდ განსხვავდება. კერძოდ, 22-დან 25-წლამდე ასაკის უფრო მეტი მაგისტრანტი ქალია დასაქმებული, ვიდრე - მამაკაცი, ხოლო

25-დან 30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში დასაქმებული მამაკაცი მაგისტრანტების მაჩვენებელი უფრო მაღალია.

საინტერესოა, სამაგისტრო პროგრამის რომელი მიმართულების სტუდენტებისთვის არის მათი სამსახური ყველაზე ახლოს სასწავლო პროგრამასთან. შედეგები გვიჩვენებს, რომ სოციალური და აგრარული მეცნიერებების მიმართულებების გარდა, ყველა სხვა დანარჩენი მიმართულების სტუდენტების დიდი ნაწილის (60%-ზე მეტი) ცნობით, მათი სამსახური და სასწავლო მიმართულება ერთმანეთთან (მალიან) ახლო კავშირშია.

დასაქმების გარდა, ასევე საინტერესოა, რა დროს ხარჯავენ სტუდენტები სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, როგორც არის სალექციო დრო და მეცადინეობის დრო. ჯამურად, სტუდენტები ოდნავ მეტ დროს ხარჯავენ ლექციებზე დასწრებაში, ვიდრე - მეცადინეობაში. გრაფიკზე კარგად ჩანს, რომ საშუალოდ, სწავლაზე ყველაზე ნაკლებ დროს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ხარჯავენ, ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი კი არის მათი დასაქმება. როგორც უკვე აღინიშნა, მაგისტრანტები უფრო მეტად არიან დასაქმებული.

გრაფიკი №7 - ლექციებზე და მეცადინეობაზე დახარჯული დრო კვირაში N=7557



სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე სტუდენტების დიდი ნაწილი იმავე ტიპის დატვირთვას ისურვებდა, როგორც აქვთ, თუმცა, უფრო მეტი დროის დათმობა სურთ მეცადინეობისთვის. რაც შეეხება დასაქმებულ სტუდენტებს, 35%-ზე მეტს სურს იგივე ან უფრო მეტი სამუშაო დატვირთვა.

ცხრილი №9 - ისურვებდნენ თუ არა მეტი ან ნაკლები დროის დახარჯვას ამა თუ იმ აქტივობაზე N=7557

	მინდა ნაკლები იყოს	იგივე	მეტი მინდა	სულ
სწავლასთან დაკავშირებული აქტივობების დრო (ლექციებზე დასწრება და ა.შ)	15.59%	65.10%	19.31%	100%
მეცადინეობის დრო	10.43%	50.01%	39.56%	100%

ანაზღაურებადი სამსახურის დრო (მხოლოდ დასაქმებული სტუდენტები N=2126)	27.34%	37.52%	35.14%	100%
--	--------	--------	--------	------

სტუდენტთა საცხოვრებელი ადგილი

საღიგობო პერიოდში სტუდენტები უმეტესად მშობლებთან ან სხვა ნათესავებთან ცხოვრობენ. ეს ტენდენცია ფაქტობრივად ერთნაირია სქესის, ასაკის, სასწავლო პროგრამის საფეხურის, უსდ-ს ტიპის, დასახლებული პუნქტისა და დასაქმების გათვალისწინებით.

გრაფიკი №8 - სტუდენტების საცხოვრებელის ფორმა N=7557

მშობლებთან/სხვა ნათესავებთან	65.90%
სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში	1.60%
მეუღლესთან/შვილებთან	7.60%
სხვა ადამიანებთან, ვინც ზემოთ არ არის ნახსენები	12.20%
მარტო	12.70%

მშობლებთან/სხვა ნათესავებთან ერთად ცხოვრებას ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვს საბაკალვრო საფეხურზე, ყველაზე დაბალი - ერთსაფეხურიან სამედიცინოზე, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურზე მშობლებთან/სხვა ნათესავებთან ცხოვრების მაჩვენებლები თანაცხოვრებისა და მარტო ცხოვრების სხვა ფორმებზე მნიშვნელოვნად მაღალი - ნახევარზე მეტია.

ქალი და მამაკაცი სტუდენტებიც მეტწილად მშობლებთან ცხოვრობენ, თუმცა, ამ კუთხით განსხვავება მარტო ცხოვრების შემთხვევაში გამოიკვეთა - მამაკაცმა სტუდენტებმა უფრო ხშირად დაასახელეს, რომ მარტო ცხოვრობენ, ვიდრე - ქალმა სტუდენტებმა.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (დედაქალაქი, სხვა ქალაქები) საღიგობო პერიოდში სტუდენტების მშობლებთან ერთად ცხოვრების მაჩვენებელი არ განსხვავდება, თუმცა, დედაქალაქში მარტო მცხოვრები სტუდენტების წილი უფრო მაღალია (14.6%), ვიდრე - სხვა დანარჩენ ქალაქში (11.8%). აღსანიშნავია, რომ სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში სტუდენტთა 1.6% ცხოვრობს.

სტუდენტების თითქმის 40% არ იხდის საცხოვრებლის გადასახადს, რადგან ცხოვრობენ მშობლებთან, ნათესავებთან/მეუღლესთან ან მათ პირად საკუთრებაში მყოფ ადგილას, იმ სტუდენტების დიდი ნაწილი კი, ვინც საცხოვრებელ ადგილში ფულს იხდის, კმაყოფილია ამ საცხოვრებლის ღირებულებით.

სტუდენტების დიდი ნაწილი ასევე კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია საცხოვრებელი ადგილის ისეთი პარამეტრებით, როგორებიცაა: მდებარეობა, ზოგადი მდგომარეობა და საცხოვრებლიდან უსდ-მდე მგზავრობის დრო.

სწავლისა და სამომავლო გეგმების შეფასება

მნიშვნელოვანია, როგორ აფასებენ სტუდენტები თავიანთ უნარებს და შესაძლებლობებს შრომის ბაზარზე სწავლის დასრულების შემდეგ. კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტების უმეტესობა თვლის, რომ სასწავლო პროგრამა მას დასაქმების (ძალიან) კარგ შესაძლებლობას აძლევს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. მაჩვენებლები საკმაოდ განსხვავდება კერძო და სახელმწიფო უსდ-ების მიხედვით, სახელმწიფო უსდ-სთან შედარებით კერძო უსდ-ს სტუდენტების უფრო დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მიმდინარე პროგრამაზე სწავლისას შეძენილი უნარებითა და გამოცდილებით (ძალიან) კარგი შესაძლებლობები აქვს დასაქმდეს ადგილობრივად ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ. რომ შევადაროთ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე დასაქმების შესაძლებლობები კერძო და სახელმწიფო უსდ-ების მიხედვით, სტუდენტების პასუხებიდან გამომდინარე, მათ ადგილობრივ ბაზარზე დასაქმების უკეთესი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე - საერთაშორისო ბაზარზე.

ცხრილი №10 - სტუდენტების მოლოდინი დასაქმებასთან დაკავშირებით უსდ-ს ტიპის მიხედვით N=7557

		სახელმწიფო უსდ	კერძო უსდ
ქვეყნის (საქართველოს) დონეზე	(ძალიან) კარგი	73%	87%
	საშუალო	18%	10%
	(ძალიან) ცუდი	9%	3%
	ვერ აფასებს	0%	0%
საერთაშორისო დონეზე (საქართველოს ფარგლებს გარეთ)	(ძალიან) კარგი	41%	63%
	საშუალო	26%	22%

	(მლიან) ცუდი	33%	15%
	ვერ აფასებს	0%	0%

კვლევის შედეგად გამოვლინდა სტუდენტების მხრიდან სასწავლო პროგრამით კმაყოფილების ხარისხიც. როგორც აღმოჩნდა, სტუდენტთა უმრავლესობა სასწავლო პროგრამით კმაყოფილია. სტუდენტები ყველაზე მეტად სწავლების ხარისხით არიან კმაყოფილები (76%). რაც შეეხება უსდ-ს ტიპს, სტუდენტები უფრო მეტად კერძო უსდ-ებში არიან ამ კომპონენტით კმაყოფილები, ვიდრე - სახელმწიფო უსდ-ებში. სწავლისა და ცხრილის ორგანიზებით, ისევე, როგორც სასწავლო რესურსებით კმაყოფილ სტუდენტთა პროცენტული წილი 72-72%-ია. კერძო უსდ-ებში, სახელმწიფო უსდ-ებთან შედარებით, სტუდენტები ამ საკითხების მიმართაც მნიშვნელოვნად მაღალი კმაყოფილებით გამოირჩევიან.

ცხრილი 11 - სასწავლო პროგრამის მახასიათებლებით კმაყოფილება უსდ-ს ტიპის მიხედვით, N=7557


		სახელმწიფო უსდ	კერძო უსდ	სულ
სწავლების ხარისხი	(მლიან) კმაყოფილი	63.8	86.7	75.9
	ნეიტრალური	21.7	7.9	14.4
	(საერთოდ) არ არის კმაყოფილი	14.5	5.4	9.7
სწავლის ორგანიზება და ცხრილი	(მლიან) კმაყოფილი	59.8	82.8	71.8
	ნეიტრალური	19.3	9.6	11.8
	(საერთოდ) არ არის კმაყოფილი	21	7.6	16.3
სასწავლო პირობები (მაგ., ბიბლიოთეკები, კომპიუტერები, შენობები, აუდიტორიები)	(მლიან) კმაყოფილი	59.1	83.3	71.9
	ნეიტრალური	17	7.2	14.2
	(საერთოდ) არ არის კმაყოფილი	23.9	9.5	13.9

სტუდენტების ადგილობრივი და საერთაშორისო მობილობა

სტუდენტების მხოლოდ 10%-ია ნამყოფი საქართველოს ფარგლებს გარეთ სწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის აქტივობით - საზღვარგარეთ სწავლა (ჩართულობა, როგორც

უსდ-ს სტუდენტის), სტაჟირება, პრაქტიკები, კვლევები/საველე გასვლები, ზაფხულის/ზამთრის სკოლები, ენის კურსები და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ აქ არ იგულისხმება სრული სასწავლო პროგრამები.


გრაფიკი №9 საზღვარგარეთ ყოფნის გამოცდილება სწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის აქტივობით N=7557



იმ სტუდენტების წილი, ვინც საზღვარგარეთ სწავლობდა, როგორც უსდ-ს სტუდენტი, თანაბარია სახელმწიფო და კერძო უსდ-ებში.

პროგრამის საფეხურის მიხედვით, სამაგისტრო პროგრამის უფრო მეტი სტუდენტია ნაყოფი საზღვარგარეთ, ვიდრე საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტები. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლას ყველაზე მეტად ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტები გეგმავენ, თუმცა, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებშიც ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ფაქტობრივად, ნახევარზე მეტი.

გრაფიკი №10 საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება (როგორც უსდ-ს სტუდენტის) და გეგმები საფეხურების მიხედვით N=7557



საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილების, ასევე, სწავლის გეგმების მონაცემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სქესის და საფეხურის მიხედვით. ქალი სტუდენტები და მამაკაცი სტუდენტები თითქმის თანაბრად არიან ნამყოფი საზღვარგარეთ და გეგმავენ ან არ გეგმავენ საზღვარგარეთ სწავლას.

სტუდენტების იმ ნაწილს, ვინც საზღვარგარეთ სწავლას გეგმავს, უკვე აქვს კონკრეტული გეგმები ამ მიმართულებით, თუმცა, მათი რაოდენობა 30%-ს არ აღემატება როგორც ჯამურად, ისე, თითოეული საფეხურის მიხედვით. სტუდენტების დიდ ნაწილს არ აქვს კონკრეტული გეგმები საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებით, თუმცა, აქვთ საზღვარგარეთ სწავლის სურვილი.

საზღვარგარეთ სწავლის ხანგრძლივობა ყველაზე ხშირად 6 თვეს არ აღემატება სამივე საფეხურის სტუდენტებში. 7 თვე და მეტი ხანგრძლივობის პროგრამებზე ნამყოფი სტუდენტების რაოდენობა ბევრად მცირეა და ჯამურად 25%-ს არ აღემატება.

სასწავლო პროგრამების მიმართულებების მიხედვით, საზღვარგარეთ სასწავლებლად ნამყოფი უმეტესად ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტები არიან. მომდევნო ადგილზეა სოციალური მეცნიერებების მიმართულება, და ყველაზე მეტად ამ მიმართულების სტუდენტები გეგმავენ საზღვარგარეთ სწავლას.

აღსანიშნავია ის პროგრამები/ორგანიზაციები, რომლებიც საშუალებას აძლევენ სტუდენტებს ისწავლონ საზღვარგარეთ. ყველაზე ხშირად სტუდენტები ევროკავშირის მიერ ორგანიზებული პროგრამებით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, რაც 31%-ს შეადგენს. საზღვარგარეთ სწავლის ორგანიზებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ასევე, ქართული პროგრამები, რომლითაც სტუდენტების 17%-მა ისარგებლა, ხოლო სხვა უცხოური პროგრამების გამოყენებით საზღვარგარეთ სასწავლებლად სტუდენტების დაახლოებით 15%-ია ნამყოფი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ


სტუდენტების თითქმის 40% დამოუკიდებლად არის ნამყოფი საზღვარგარეთ სასწავლებლად, ყოველგვარი პროგრამის/ორგანიზაციის გარეშე.

საზღვარგარეთ სასწავლებლად სტუდენტებმა ყველაზე ხშირად ოჯახისგან/მშობლებისგან მიიღეს დაფინანსება (61%) და ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება დაფინანსების ყველა სხვა წყაროს მაჩვენებელს. მეორე ადგილზეა (16.3%) დაფინანსება მასპინძელი ქვეყნიებიდან (უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში - საქართველოს გარდა), მომდევნო ადგილზეა საკუთარი ანაზღაურებადი სამსახურიდან მიღებული შემოსავლით და სხვადასხვა წყაროთი დაფინანსება.

სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ სწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, როგორც წესი, კრედიტების აღიარებაა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების 40%-სთვის საზღვარგარეთ გავლილი პროგრამებიდან ყველა კრედიტი აღიარეს, ხოლო 15%-სთვის - მხოლოდ ნაწილობრივ.

კვლევის შედეგად ასევე გამოჩნდა, რომ სტუდენტების 19% მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობს, ხოლო 45% მშობლიური ენის გარდა კარგად ან ძალიან კარგად - კიდევ ერთ ენას; მშობლიური ენის ჩათვლით სამ ენას სტუდენტების 29% ფლობს კარგად ან ძალიან კარგად, 4 და მეტი ენის ცოდნას უკვე მნიშვნელოვნად ნაკლები მაჩვენებელი აქვს.

გრაფიკი №11 სტუდენტების მიერ ენების ფლობა (მშობლიურის ჩათვლით) N=7557



მშობლების დემოგრაფიული მახასიათებლები

როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულ სტუდენტთა მშობლების ნახევარზე მეტს უმაღლესი განათლება აქვს. მათ შორის აღსანიშნავია, რომ უფრო მეტ მამას/მამრობითი სქესის მეურვეს აქვს უმაღლესი

განათლება, ვიდრე - დედას/მდედრობითი სქესის მეურვეს. რაც შეეხება სტუდენტთა მშობლების განათლების დონეს უსდ-ს ტიპის მიხედვით, ამ კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა.

ცხრილი №12 სტუდენტთა მშობლების განათლების დონე უსდ-ს ტიპის მიხედვით N=7557

		სახელმწიფო უსდ	კერძო უსდ
დედა/მდედრობითი სქესის მეურვე	უმაღლესი განათლების გარეშე	42.6%	38.8%
	უმაღლესი განათლების მქონე	52.3%	53.4%
	არ ვიცი	5.1%	7.8%
მამა/ მამრობითი სქესის მეურვე	უმაღლესი განათლების გარეშე	40.2%	35.3%
	უმაღლესი განათლების მქონე	56.5%	58.5%
	არ ვიცი	3.3%	6.1%

რაც შეეხება სტუდენტების მიერ მშობლების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას, გამოკითხულ სტუდენტთა 40% მათ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც საშუალოს, თითქმის ამდენივე (37%) მშობლების ეკონომიკურ მდგომარეობას განიხილავს, როგორც კარგს. 23%-ის მხრიდან კი მშობლების ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფითად ფასდება.

დასკვნები

1. ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების საშუალო ასაკი 21,5 წელია, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების - 25,7 წელი, ხოლო ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტების - 21,8 წელი.
2. 30 წელზე მეტი ასაკის სტუდენტების რაოდენობა სასწავლო პროგრამებზე ძალიან მცირეა, განსაკუთრებით, საბაკალავრო პროგრამებზე.
3. კერძო უსდ-ში ნაკლებად ისწავლება მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.
4. სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებაა სწავლის მიმართულებებზე. კერძოდ, STEM მიმართულებებზე მნიშვნელოვნად დაბალია ქალების, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე დაბალია მამაკაცი სტუდენტების რაოდენობა.
5. სტუდენტების თითქმის 85%-მა უსდ-ში სწავლა გააგრძელა სკოლის დასრულებიდან ერთი წლის მანძილზე.

6. ბიზნესის ადმინისტრირებაზე ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობს, რაც სტუდენტების პოპულაციის 20.4%-ს შეადგენს.
7. სტუდენტების 79%-ს არ ჰქონია სამუშაო გამოცდილება უსდ-ში სწავლამდე.
8. სტუდენტების დიდი ნაწილი (70 %) არ მუშაობს. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები უფრო მეტად არიან დასაქმებულები, ვიდრე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები.
9. დასაქმებული სტუდენტები მნიშვნელოვნად მეტ დროს უთმობენ სამსახურს, ვიდრე - სწავლას.
10. სტუდენტების დიდი ნაწილი - თითქმის 70% - სალექციო პერიოდში მშობლებთან ცხოვრობს და ფინანსურად დამოკიდებულია მშობლებზე, მიუხედავად მათი დასაქმების სტატუსისა.
11. სწავლის პროცესის რაიმე ტიპის შეფერხების (სწავლის შეწყვეტა, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა) ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი არის ფინანსური სირთულეები.
12. სტუდენტების 76% კმაყოფილია სწავლების ხარისხით, სწავლების ორგანიზებით, ცხრილითა და სწავლის პირობებით, ეს მაჩვენებლები განსაკუთრებით მაღალია კერძო უსდ-ებში.
13. ჯანმრთელობის ხანგრძლივი შეზღუდვების მქონე სტუდენტების 27% მიიჩნევს, რომ მისი სასწავლო დაწესებულება და საზოგადოება ითვალისწინებს მათ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს.
14. სტუდენტების დიდი ნაწილი (მალიან) კარგად აფასებს თავის შესაძლებლობებს, დასაქმდნენ ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა, ადგილობრივ ბაზარზე დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია.
15. სტუდენტების მხოლოდ 10%-ია ნამყოფი საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებული აქტივობებით.
16. სტუდენტების 51% გეგმავს საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლას, თუმცა, მათგან მხოლოდ 11%-ს აქვს კონკრეტული გეგმები.
17. სტუდენტების დაახლოებით 40%-ს უღიარეს საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტები, კერძო უსდ-ში ამ კრედიტების აღიარების მაჩვენებელი უფრო მაღალია.
18. ყველაზე ხშირად სტუდენტები ევროკავშირის მიერ ორგანიზებული პროგრამებით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ - 31% (თუ არ ჩავთვლით იმ სტუდენტებს, ვინც სასწავლებლად დამოუკიდებლად, პროგრამის გარეშე გაემგზავრა).
19. სტუდენტების 19% მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობს, ხოლო 45% მშობლიური ენის გარდა კიდევ ერთ უცხო ენას.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

1. სამეცნიერო მიმართულების პროგრამების წახალისება კერძო უსდ-ებში;
2. ქალი სტუდენტების წახალისება STEM მიმართულებებზე, რომლებიც, თავის მხრივ, შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეცნიერების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ინჟინერიის მიმართულებებს.
3. მამრობითი სქესის სტუდენტების წახალისება განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე, რადგან ამ მიმართულებებზე მამაკაცი სტუდენტების რაოდენობა ძალიან მწირია;
4. სკოლის შემდგომი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების და/ან საგანმანათლებლო პროგრამებისა და მიმართულებების რაოდენობის გაზრდა რეგიონებში, ვინაიდან სტუდენტთა დიდი რაოდენობა კონცენტრირებულია თბილისსა და რამდენიმე ქალაქში;
5. სტუდენტური დასაქმების ხელშეწყობა, რადგან მიღებული შედეგების მიხედვით, სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტების უმეტესობას სამუშაო გამოცდილება არ ექნება;
6. კრედიტების აღიარების პროცედურების გამარტივება, რათა უფრო მეტ სტუდენტს უღიარონ საზღვარგარეთ მიღებული სასწავლო გამოცდილება, ეს, თავის მხრივ, წახალისებს სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლისათვის.
7. უფრო მეტ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა, იცხოვროს საერთო საცხოვრებელში;
8. მეტი ინფორმაციის მიწოდება საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებით - როგორც დაფინანსების წყაროებზე, ასევე სხვა ასპექტებზე.
9. საზღვარგარეთ განათლების მისაღებად გრანტების/დაფინანსების გაზრდა, რადგან სტუდენტების დიდი ნაწილის დაფინანსების წყარო საკუთარი ოჯახი და გამომუშავებული შემოსავალია;
10. კმაყოფილების მაჩვენებლების დეტალური კვლევა სხვადასხვა კვლევითი მეთოდის გამოყენებით, იმის გათვალისწინებით, რომ სწავლასთან დაკავშირებული პარამეტრებით კმაყოფილების მაჩვენებელი ძალიან მაღალია ყველა უსდ-ს მონაცემების მიხედვით;
11. ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემების მქონე სტუდენტების სეგმენტზე სიდრმისეული ინფორმაციის შეგროვება, შესწავლა და მათი სწავლის პირობების გასაუმჯობესებლად ღონისძიებების გატარება.